

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2022 წლის 22 ნოემბრის სხდომის

ოქმი #7

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2022 წლის 22 ნოემბერს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 32 წევრი, სხდომას ესწრებოდა 21 წევრი. სხდომას ასევე ესწრებოდნენ დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი ვ.ტრაპაიძე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი თ.ჭელიძე და ასოცირებული პროფესორი გურამ ქუთელია.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ აცნობა საბჭოს წევრებს, რომ სხდომას არ ესწრება ფაკულტეტის საბჭოს მდივანი, ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი და შესთავაზა მათ სხდომის მდივანად აერჩიათ ასოცირებული პროფესორი ირინა ხუციშვილი. სხდომამ ერთხმად დაუჭირა მხარი ი.ხუციშვილის კანდიდატურას.

დღის წესრიგი:

1. იმპაქტ ფაქტორიანი პუბლიკაციებისთვის ანაზღაურების გაცემის საკითხი;
2. ბაკალავრიატის ანკეტა-კითხვარის დამტკიცება;
3. მიმდინარე საკითხები.

1. მოისმინეს: დღის წესრიგის პირველი საკითხი - იმპაქტ-ფაქტორიანი სტატიების ანაზღაურების შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რ.ხომერიკმა. ბატონმა რამაზმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის 2022 წლის ბიუჯეტის მუხლიდან “შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება“ გამოყოფილია დაფინანსება ტომსონ-როიტერის კლასიფიკაციით დადებითი იმპაქტ ფაქტორიანი სტატიების ავტორებზე დამატებითი ანაზღაურების გასაცემად. მან საბჭოს წევრებს წარუდგინა დოკუმენტი ანაზღაურების განაწილების შესახებ(იხ. დანართი 1).

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ე.ნადარაიამ, ნ.შათაშვილმა, გ. სირბილაძემ, ი.ხუციშვილმა, ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვ.ტრაპაიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი იმპაქტ-ფაქტორიანი სტატიების ანაზღაურების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭო ადგენს, რომ ერთ სტატიაზე გასაცემი თანხა Q1-ის რანჟირებით განისაზღვროს 3000 ლარით, ხოლო სხვა იმპაქტ-ფაქტორიანი სტატიები 2500 ლარით და დაფინანსდეს 1 სტატია ერთ აკადემიურ პერსონალზე თანდართული სიის შესაბამისად (იხ. დანართი 1). საფაკულტეტო დაფინანსების თანხა (სულ 99 000 ლარის ოდენობით) გაიცეს ფაკულტეტის ბიუჯეტის შესაბამისი მუხლიდან.

2. მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე საკითხი – ბაკალავრიატის ანკეტა-კითხვარის დამტკიცება. საკითხი წარმოადგინა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რ.ხომერიკმა. ბატონმა რამაზმა ფაკულტეტის საბჭოს წევრებს სთხოვა კიდევ ერთხელ დაეზუსტებინათ / დაედასტურებინათ ანკეტა-კითხვარში წარმოდგენილი რაოდენობები და კომპეტენციის ზღვრები (იხ. დანართები 2.1 – 2.2).

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ნ.შათაშვილმა, გ.სირბილაძემ, თ.ჭელიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი 2023 წლის ბაკალავრიატის ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ბაკალავრიატის წარმოდგენილი ანკეტა-კითხვარი (იხ. დანართები 2.1 – 2.2).

3. მოისმინეს: დღის წესრიგის მიმდინარე საკითხები.

- 3.1. დოქტორანტების თემებისა და ხელმძღვანელების დამტკიცება (ვ.ტრაპაიძე);
- 3.2. კომპიუტერული მეცნიერების ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვის ვადების შესახებ (რ.ხომერიკი);
- 3.3. ფიზიკური და ანალიზური ქიმიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტის თანამშრომლის დამტკიცება (ვ.ტრაპაიძე);
- 3.4. გეოგრაფიის დეპარტამენტის სასწავლო-სამეცნიერო ჰიდრომეტეოროლოგიური ლაბორატორიის კონცეფციის გაცნობა (დ.კერესელიძე).

3.1. მოისმინეს: ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა საკითხი დოქტორანტების თემებისა და ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ (იხ. დანართი 3.1).

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი დოქტორანტების თემებისა და ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: საკითხი დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს დოქტორანტების თემები და ხელმძღვანელები შემდეგი სიის შესაბამისად:

➤ სადოქტორო პროგრამა „ფიზიკა“

- **გიორგი ქაჩლიშვილი:** სამეცნიერო ხელმძღვანელები - თსუ ზსმფ-ის ფიზიკის დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი მალხაზ გოჩიტაშვილი და სტუ კობერნეტიკის ინსტიტუტის კოჭერენტული ოპტიკის და ელექტრონიკის განყოფილების ხელმძღვანელი ზაზა მელიქიშვილი;

- **ნანა შუბითიძე:** სამეცნიერო ხელმძღვანელი - თსუ ზსმფ-ის ფიზიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი რევაზ შანიძე;
- **ცოტნე დადიანი:** სამეცნიერო ხელმძღვანელი - თსუ ზსმფ-ის ფიზიკის დეპარტამენტის პროფესორი ალექსანდრე შენგელაია.

➤ სადოქტორო პროგრამა „გეოლოგია“

- **ლევან იოსელიანი:** სადისერტაციო თემა - "მდ. აჭარისწყლის ხეობის შუაწელის მაგმური ქანების პეტროგრაფია და საინჟინრო-გეოლოგიური პირობები", ხოლო სამეცნიერო ხელმძღვანელები - გეოლოგიის აკადემიური დოქტორი გიორგი ბერიძე და გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი ვაჟა ჭუმბურიძე;
- **დავით ცუცქირიძე:** სადისერტაციო თემა - "ნაპრალთა სისტემების გავრცელება აღმოსავლეთ აჭარა-თრიალეთის ნაოჭა-შეცოცებითი სარტყლის სამხრეთ-ვერგენტულ ანტიკლინებში: ამლევია, კუმისი, თელეთი". სამეცნიერო ხელმძღვანელები - ასოცირებული პროფესორი ზურაბ ლებანიძე და გეოლოგიის აკადემიური დოქტორები ვიქტორ ალანია და ონისე ენუქიძე;
- **დავით მაქაძე:** სადისერტაციო თემა - "ბერთაკარის ოქრო-მცირესულფიდური საბადოს სტრუქტურული აგებულება და პეტროლოგია: ახალი მტკიცებულებები მადნიანი მინერალიზაციის სტრუქტურული კონტროლის დასადგენად". სამეცნიერო ხელმძღვანელი - გეოლოგიის აკადემიური დოქტორი ვიქტორ ალანია.

➤ სადოქტორო პროგრამა „ქიმია“

- **ნათელა ძევისაშვილი:** სამეცნიერო ხელმძღვანელები - ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი გრიგოლ ტატიშვილი და ქიმიის დოქტორი თამარ თათრიშვილი, ხოლო სადისერტაციო თემა - „ორგანული პოლიმერული მყარი ნარჩენებისაგან ახალი სორბენტების მიღება, კვლევა და მათი გამოყენების შესაძლებლობის დადგენა“ დარჩეს უცვლელი.

3.2. მოისმინეს: ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ განსახილველად გამოიტანა საკითხი კომპიუტერული მეცნიერების ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვის ვადების დადგენის შესახებ, ჩარიცხვის პროცესის უზრუნველყოფის მიზნით. აღნიშნული საკითხის შესახებ ფაკულტეტის საბჭოს შუამდგომლობით მიმართა კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მანანა ხაჩიძემ (იხ. დანართი 3.1).

აზრი გამოთქვა: პროფესორმა მ.ხაჩიძემ

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: კომპიუტერული მეცნიერების ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვის პროცესის უზრუნველყოფის მიზნით დადგინდეს ჩარიცხვის შემდეგი ვადები:

- შემოდგომის სემესტრისათვის - ყოველი წლის 1 სექტემბერამდე;
- გაზაფხულის სემესტრისათვის - ყოველი წლის 1 თებერვლამდე.

3.3. მოისმინეს: ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ საბჭოს წევრებს წარუდგინა ქიმიის დოქტორის, ლელა მეტრეველის კანდიდატურა ფიზიკური და ანალიზური ქიმიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უფროსი მეცნიერ-მკვლევარის პოზიციაზე დასამტკიცებლად.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ფიზიკური და ანალიზური ქიმიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უფროსი მეცნიერ-მკვლევარის პოზიციაზე ქიმიის დოქტორი ლელა მეტრეველი.

3.4. მოისმინეს: გეოგრაფიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა დავით კერესელიძემ ფაკულტეტის საბჭოს წარუდგინა გეოგრაფიის დეპარტამენტის სასწავლო-სამეცნიერო ჰიდრომეტეოროლოგიური ლაბორატორიის კონცეფცია (იხ. დანართი 3.2) და მოკლედ გააცნო მათ ლაბორატორიის წინასტორია და სპეციფიკა, ასევე მომავლის პერსპექტივები. 2015 წლის კატასროფული მოვლენების შემდეგ მთლიანად დაინგრა ლაბორატორიის ინფრასტრუქტურა და დღის წესრიგში დადგა თანამედროვე ლაბორატორიის მშენებლობა. აღნიშნული სასწავლო ლაბორატორიის მომავლის კონცეფცია ეყრდნობა „ცოცხალი ლაბორატორიის“ (Living Lab) მიდგომას, რომელიც ითვალისწინებს რამოდენიმე ფუნდამენტალურ პრინციპს, კერძოდ, ცოდნის მოპოვება და ურთიერთგაზიარება, გარემოს მართვისადმი ეკოსისტემური მიდგომის დანერგვა, მომხმარებლების ჩართულობის ხელშეწყობა და დაინტერესება, სწავლის და კვლევის ინოვაციური მეთოდების იმპლიმენტაცია.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ნ.შათაშვილმა და ა.შენგელაიამ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს გეოგრაფიის დეპარტამენტის სასწავლო-სამეცნიერო ჰიდრომეტეოროლოგიური ლაბორატორიის კონცეფცია (იხ. დანართი 3.2).

პროფესორმა ნანა შათაშვილმა მიმართა საბჭოს კონსულტაციისთვის ფიზიკის მიმართულების სტუდენტების დისციპლინური პასუხისმგებლობის განხილვის შესახებ. აზრი გამოთქვეს პროფესორებმა ა.შენგელაიამ, ი.ხუციშვილმა, რ.ხომერიკმა. აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა გადაიდო შემდგომი სხდომისთვის.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი



ფაკულტეტის საბჭოს სხდომის მდივანი,
ასოცირებული პროფესორი ირინა ხუციშვილი

